РХ4908/1. о 31/1690



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვეტიცხოველი

~~ქვათახევი~~

~~Кватахеви~~

СВЕТИЦХОВЕЛИ







ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԱՄՐԱՐԱՆ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველო

სვეტიცხოველი

(1010 — 1029 წ.წ.)

ქართული ხუროთმოძღვრების უდიდესი ძეგლი — სვეტიცხოველის ტაძარი — მდებარეობს საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის შუაგულში.

საქართველოს გაქრისტიანებისთანავე აქ მე-4 საუკუნეში აშენდა პირველი ეკლესია. მე-5 საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა ახალი ეკლესია ააგო.

მე-11 საუკუნის დასაწყისისათვის ფეოდალური წყობის განმტკიცებამ, ქვეყნის დამპყრობლებისაგან თანდათანობითმა განთავისუფლებამ საქართველოს მატერიალური და კულტურული გაძლიერების სწრაფი ზრდა გამოიწვია, რამაც კათალიკოზ-პატრიარქ მელქისედეკს საშუალება მისცა ამავე ადგილას განეხორციელებინა დიდებული ტაძრის აგება.

მშენებლობა დაევალა ხუროთმოძღვარ არსუკისძეს. მან 1010 — 1029 წლებში ააგო კათედრალური ტაძრის ჩინებული შენობა.

თავისი არსებობის 9 საუკუნის განმავლობაში ტაძარს არა ერთხელ დამუქრებია მოსპობის საფრთხე. თემურლენგმა შენობის დასავლეთის მხრის თაღების ბურჯები მოანგრევინა, მაგრამ ტაძრის დანგრევა მაინც ვერ შესძლო. მე-15 საუკუნის დასაწყისში ქართველი მეფის ალექსანდრე I მიერ შენობა კაპიტალურად შეკეთდა. მე-18 საუკუნეში აღდგენილი იქნა ტაძრის გუმბათის ზემო ნაწილი. მე-19 საუკუნეში „ჯეროვანი კეთილმშვენიერების მისაცემად“ სასულიერო მმართველობამ მოსპო ძველი სტოა და ტაძრის შიგნით შეათეთრა ფრესკების დიდი ნაწილი, მაგრამ ამ შეკეთებათა და განახლებათა მიუხედავად, ტაძრის პირვანდელი სახე მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ შეიცვალა და სრულად წარმოგვიდგენს მე-11 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს.

შენობის ფასადები მდიდრულადაა მორთული ჩუქურთმებით. ორნამენტული კაზმულობის ხასიათი და გამოყენების ხერხები დამახასიათებელია ფეოდალური საქართველოს ხუროთმოძღვრების აყვავების ეპოქის დასაწყისისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთის ფასადის დეკორატიული ტაძრის თავზე მოჩანს ხელის გამოსახულება [illegible] მონახულია ტაძრის ამშენებლის — ხუროთმოძღვარ არსუკისძის წარწერა. საყურადღებოა ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ეკლესიის დეკორატიული მორთულობის ფრაგმენტები, რომლებიც ხუროთმოძღვარ არსუკისძეს გამოუყენებია ახალი დიდი ტაძრის აგების დროს. ასეთებია, მაგალითად, ხარის თავების სკულპტურული გამოსახულებები აღმოსავლეთის ფასადზე და ორნამენტული მოტივი გუმბათქვეშა სამხრეთ-დასავლეთის პილონის ძირში.

ტაძრის ინტერიერს აქვს საზეიმო შეხედულება, რომელიც შეეფერებოდა ქართველ მეფეთა გვირგვინის კურთხევის ცერემონიალს. კანკელთან შემონახულია საქართველოს უკანასკნელი მეფეების ერეკლე II და გიორგი XII საფლავები. გარდა ამისა, უწარწერო მარმარილოს ქვის ქვეშ, გადმოცემით, ვახტანგ გორგასლის საფლავი უნდა იყოს. ერთ-ერთი გუმბათის დამჭერ სვეტთან დგას მე-17—18 საუკუნეების ფრესკებით მოხატული საკათალიკოსო კათედრა. ტაძრის დასავლეთის მკლავში მოთავსებულია „სვეტი“, დადგმული ლეგენდარული კედარის ადგილზე, რომელსაც, ვითომდა, ცხოველმყოფელი მირონი სდიოდა. სწორედ ამ სვეტთან არის დაკავშირებული ტაძრის სახელწოდება „სვეტიცხოველი“. ეს სვეტი მოხატულია მხატვარ გიორგი გულჯავარისშვილის ხელმძღვანელობით. ტაძრის ოდესღაც ჩინებული მხატვრობის შესახებ წარმოდგენას იძლევიან საკურთხეველში მოთავსებული მე-11 საუკუნის მონუმენტური ფრესკები, რომლებიც განახლებულია მე-19 საუკუნეში. კედლის მხატვრობის დანარჩენი ფრაგმენტები მე-16 — 17 ს. ს. ეკუთვნიან.

ტაძარი შემოვლებულია კოშკებიანი და სათოფურებიანი გალავნით, რომელიც აშენებულია მე-18 საუკუნეში. მხოლოდ დასავლეთ ნაწილშია შემონახული გალავანში ძველი შემოსასვლელი ბჭე-კარის ფრაგმენტები, რომლებიც კათედრალის აშენების დროს, ე. ი. მე-11 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნიან. გალავნის სამხრეთ ნაწილში მოთავსებული ბჭე-კარი მე-18 საუკუნისაა.

ავტორი ბ. ლორთქიფანიძე. რედაქტორი ზ. ძნელაძე
სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
1959

უე 03343 ტირაჟი 5000 შეკვ № 532 ფასი 75 კაპ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი,
მარჯანიშვილის ქ., 5.

УПРАВЛЕНИЕ ПО ДЕЛАМ ОХРАНЫ И РЕСТАВРАЦИИ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

СВЕТИЦХОВЕЛИ
(1010—1029 гг.)

Величественный памятник грузинской архитектуры собор Светицховели расположен в центре города Мцхета, бывшем в глубокой древности столицей Грузии.

На этом месте уже в IV веке была построена одна из первых церквей, принявшей христианство Грузии, а в V веке царь Грузии Вахтанг Горгасал, сложивший голову в борьбе за независимость своей родины, построил новую церковь.

К началу XI века укрепление феодального строя, постепенное освобождение от захватчиков и об'единение страны под централизованной властью, вызвало быстрый рост материального и культурного могущества Грузии и дало возможность католикосу-патриарху Мелхиседеку осуществить на этом же месте новую постройку грандиозного здания собора.

Строительство было поручено зодчему Арсукисдзе, который в 1010-1029 гг. построил великолепное здание кафедрального собора.

За девять веков своего существования собор неоднократно подвергался опасности уничтожения иноземными захватчиками. Тамерлан приказал подрубить устой сводов западного рукава здания, но разрушить его не смог.

В начале XV века здание было капитально отремонтировано царем грузинским Александром I. В XVII веке была восстановлена верхняя часть купола храма. В XIX веке для придания должного «благолепия» духовными властями были уничтожены древние приделы и забелена большая часть фресок внутри храма. Но, несмотря на эти ремонты и поновления, первоначальный облик здания изменился лишь незначительно.

Фасады здания богато украшены искусной резьбой по камню. Характер орнаментального убранства и его системы характерны для начала эпохи пышного расцвета архитектуры феодальной Грузии.

Над декоративной аркой северного фасада видно изображение руки держащей угольник. Рядом сохранилась надпись с именем строителя храма архитектора Арсукисдзе.

Заслуживают внимания фрагменты декоративного убранства из церкви построенной Вахтангом Горгасалом, которые использованы при строительстве храма Светицховели. Таковы, например, скульптурные изображения бычьих голов на восточном фасаде и орнаментальный мотив в основании юго-западного подкупольного устоя.

Незабываемое впечатление оставляет и внутренность храма, соответствующая месту, где короновались цари Грузии. У алтарной преграды сохранились надгробья последних царей Грузии Ираклия II и Георгия XII. Кроме того указывают мраморную плиту, под которой находится могила царя Вахтанга Горгасала. У юго-западного угла центрального квадрата стоит расписанная фресками XVII-XVIII в.в. кафедра католикоса. Под одним из южных сводов находится большой каменный «столп», воздвигнутый на месте легендарного кедра, источавшего якобы животворящее миро. С этим столбом и связано наименование храма — «Светицховели», что в переводе означает «столп животворящий». „Столп“ этот расписан под руководством художника Григория Гулджаварисшвили. От великолепной росписи XI в. храма сохранились фрески в алтаре, которые были переписаны в XIX веке. Остальные фрагменты фресковой живописи относятся к XVI-XVII в.в.

Собор обнесен крепостной стеной с башнями и бойницами; стена эта выстроена в XVIII в. Лишь в западной части крепостной стены сохранился фрагмент древнего входа в ограду, относящийся ко времени постройки кафедрала. Ворота и калитка в южной части ограды—сооружение XVIII в.

Автор Б. Лордкипанидзе. Редактор З. Дзнеладзе.
Государственное издательство
«Сабчота Сакартвело». 1959

УЭ 03343. Тираж 5000. Зак. № 532. Цена 75 к.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.